

„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი არკადი სმიტონი მოსკოვიდან იტყობინება:



8-19 ივლისს მოსკოვი ახალგაზრდობის პირველი მსოფლიო თამაშებს უახსოვლად

ამ თამაშების ჩატარების იდეა მოსკოვის მერს იური ლუკოვს ეკუთვნის და მიზნად ისახავს მთელ მსოფლიოს დაანახოს, რომ სსრკ-ის დაშლის შემდეგ, რუსეთს კვლავ შესწევს უნარი ჩაატაროს ისეთი გრანდიოზული სპორტული ასპარეზობა, როგორცაა ოლიმპიური თამაშები. მაგრამ კონკურენცია ამ უფლებების მოსაპოვებლად ისეთი მკაცრია, სოკის ხელმძღვანელებს მოსკოვის მიმართ პესიმისტურად განაწყობს. და აი, ლუკოვმა დიპლომატიურ ხერხს მიმართა, სოკთან შეთანხმებით და მისივე ეგიდით ატარებს მსოფლიოს პირველ ახალგაზრდულ თამაშებს, რომელსაც მცირე ოლიმპიადა სავსე უწოდებენ და ამით უნდა გააქარწყლოს არაკეთილმოსურნეთა განწყობილება. ეს ღონისძიება მოსკოვში თვით სოკის პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანის ხელდასმით ტარდება. ორგანიზატორებს ერთი იაღლიში მაინც მოუვიდათ - ვერ გაითვალისწინეს, რომ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი 12 ივნისს გაიმართება, მოსკოვში თამაშების გახსნაც სწორედ ამ დღეს ჩასვენ განრიგში. შეცდომა ისევე ლუკოვის ავტორიტეტმა გამოასწორა - თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონია 13 ივნისს სოსოვის გადაადგილებს და სამარანის თავისი ამალით პარიზიდან პირდაპირ მოსკოვში ჩამოფრინდება. ასე რომ, შთამბეჭდავს სანახაობას და მოსკოვის „ძველებურ“ შესაძლებლობებს სოკის მამები საკუთარი თვალთი იხილავენ...

მოსკოვში უწყვეტ ნაკადად მოედინებიან დელეგაციები მსოფლიოს 140 ქვეყნიდან. ერთ-ერთი პირველები ჩამოვიდნენ საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები ვახტანგ კობალაძის ხელმძღვანელობით, რომელსაც თან ჩამოჰყვა ჩვენი დელეგაციის მისიის ხელმძღვანელი, საქართველოს სპორტის

გარჯი საქართველოს! ჩვენები - მსოფლიოთი პესავე!

სწორედ ასეთ საამაყო წარმატებას მიაღწიეს ჩვენმა კადეტებმა მსოფლიო პირველობის გუნდურ ჩათვლაში ინგლისის ქალაქ მანჩესტერში. ჩვენი ნაკრების წევრებიდან განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გორგოლაძე ფალავანტმა ამირან ელბაძემ (42 კგ) და დავით ოქროპირიძემ (57), რომლებმაც მეორე საპრიზო ადგილები დაიკავეს. ბრინჯაოს მედლები კი ნილად ხვდათ თბილისელებს ზურაბ ნასყიდაშვილს (63) და მიხეილ ბაგაურს (83). აღსანიშნავია, ჩვენმა ოთხმა მოჭიდავემ - IV, ერთმანც VI ადგილი დაიკავა (დანვრილებით „ლელოს“ შემდეგ ნომერში).

სტილის მოჭიდავეთა ასპარეზობის თარიღები ერთმანეთში გაიცვალა. კლასიკოსები შეჯიბრებას დაიწყებენ 11 ივლისს და დაამთავრებენ 14 ივლისს. „თავისუფლები“ კი 15-18 ივლისს იასპარეზებენ. დანარჩენი სახეობების განრიგი ასეთია: კალათბურთი (11-19), სპორტული ტანვარჯიში (15-18), მხატვრული ტანვარჯიში (14-16), ძიუდო (14-17), მძლეობა (14-17), ჩოგბურთი (11-19), მაგიდის ჩოგბურთი (11-19), ფარიკაობა (12-18), ეს სპორტის ის სახეობებია, სადაც ჩვენები იასპარეზებენ.

ფეხბურთელთა გუნდი ასეთი შემადგენლობით ჩამოვიდა: ვიუდი ჯოლოხავა, ოთარ ხიზანიანი, ზურაბ ხიზანიანი, ედიო სავჯია, ილია კანდელაკი, ლევან ჩაჩუა, გიორგი ადამია, ცეზარ ხუროძე, გიორგი დეკანოზიძე, რევაზ გოცირიძე, კახაბერ წუწუნავა, გელა ძამუნაშვილი, ჯაბა თავბერძე, მიხეილ თბოთხიძე, დავით ქანთარია, ალექსანდრე ბუჟია, ირაკლი შენგელია, რამაზ სვანაძე.

ოქროს ორენი პრეზიდენს

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანმა ოფიციალური წერილი გამოუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს, რომელშიც იტყობინება, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საორგანიზაციო საბჭოს გადაწყვეტილებით **ედუარდ შევარდნაძე** დაჯილდოებულია ოლიმპიური ორენით.

ოლიმპიური ოქროს ორენი დაარსებულია 1974 წელს და იგი ენიჭება პიროვნებებს, რომელთა საქმიანობაში ასახულია ოლიმპიური იდეალები და გატარებულია ცხოვრებაში. ორენით ჯილდოვდებიან, როგორც გამოჩენილი სპორტსმენები, ასევე სპორტული, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და რელიგიური მოღვაწეები. ამ ორენის კავალერებია: ფრანსუა მიტერანი, ინდირა განდი, ნურსულთან ნაზარბაევი, მანუი კოვისტო, ნელსონ მანდელა, რიხარდ ფონ ვაიციჰეკერი, ბორის ელცინი, ხაიერ სოლანა, ჯულიო ანდრეოტი, იოან პავლე მეორე და სხვ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს სპორტის განვითარების, მალაკვალი-ფიციურ სპორტსმენთა აღზრდის საქმეში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი ეურნალისტური მოღვაწეობისათვის განზეთ „ლელოს“ მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე** დაჯილდოვდა ორენის ორენით.



პირველი უინალისტი

ბრაზილია

XVI მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში
ნახევარფინალური მატჩები:
გუზინ...
ბრაზილია - კოლანდია 1-1, პენ. 4-2

დღეს...
საფრანგეთი - სორვაბია 2:3⁰⁰
(მთ. მსაჯი - ესანელი სოსე მანუელ გარსია არანდა)

მატჩი №61. მარსელი. „სტად ველოდრომი“. 60 000 მაყურებელი.
ბრაზილია - კოლანდია 1-1 (პენ. 4-2)
ბრაზილია: ტაფარელი, ზე კარლოსი, ალდაირი, უნიორ ბაიანო, რობერტო კარლოსი, სეზარ სამაიო, დუნგა, ლეონარდო (ემერსონი, 87), რივალდო, რონალდო, ბებეტო (დენილსონი, 71).
კოლანდია: ვან დერ სარი, რაიციგერი (ვინტერი, 51), სტამი, ფ. დე ბური, კოკუ, რ. დე ბური, იონკი, დავიდსი, ზენდენი (პოიდონკი, 77), ბერგამპი, კლუივერტი.
გოლები: 1-0 რონალდო (46), 1-1 კლუივერტი (87).
გააფრთხილეს: ზე კარლოსი, სეზარ სამაიო, რაიციგერი, დავიდსი, პოიდონკი.
მსაჯი: ალი მუჰამედ ბუჯსაინი (საემირები).



სპორტში ასეა, დაძაბულ პაექრობაში დგება წუთი, როცა იგი ან გადაწყვეტის რთა ერთმა მხარემ გამარჯვება იზეიმოს, ან საამისოდ იმედის მომცემი და „ფსიქოლოგიური დოპინგი“ საბოლოო წარმატებისათვის. წუხანდელ შეხვედრაში თითქმის მატჩის ბოლომდე, ასეთი იყო რონალდოს მიერ კოლანდიელთა კარში გატანილი პირველი გოლი, რომელმაც ძირითად დროში წარმატება ვერ მოუტანა ბრაზილიელებს.

ამ შეხვედრაში ბევრი გამარჯვებას პოლანდიელებს უწინასწარმეტყველებდა იმის გათვალისწინებით, რომ სამხრეთამერიკელებს დაცვის ხაზში მთლად რიგზე ვერ პოინდით საქმე. ზაგალო კი თავდაჯერებით აცხადებდა, რომ იგი ვერაფრით პრობლემას ვერ შედგა, რაც ამ ნახევარფინალურ მატჩში მისი გუნდის წინსვლას შეაფერხებდა. მოკლედ, ბრაზილიელთა ოპტიმიზმმა მხოლოდ მატჩის მეორე ნახევრის პირველიდან ბოლო წუთებამდე აჯობა მეტოქეებსა და მათი ქომაგების რწმენას. ბრაზილიელთა გამარჯვება სწორედ ამ დროს დადგა საფრთხის წინაშე.

... როცა მატჩის ძირითადი დროის დამთავრებას სამი წუთი აკლდა და ბრაზილიელები მინიმალური ანგარიშით იგებდნენ, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ შეხვედრის ბედი პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო, მაგრამ პოლანდიელთა თავგატი გუნს პოინკი და მისი შეგარდები სულაც არ აპირებდნენ დანებებას და გადაწყვეტდნენ შეტევაზე გადავიდნენ. ამას ხელი შეუწყო ჯაკვიანურმა შეცვლებმა. და აი, რონალდ დე ბური მშვენივრად გაიტარა მარჯვენა ფრთაზე, პირდაპირ თავზე დაასვა ბურთი კლუივერტს, რომელმაც ეს მშვენიერი პასი გოლად აქცია. ანგარიში კი მეორე ტაიმის პირველსავე წუთზე გახსნა რონალდომ, რომელმაც მოედნის სიღრმეიდან მიიღო ევაქტური გადაცემა და ჩვეული, სწრაფი დრიბლინგით პირისპირ აღმოჩნდა მეტოქესთან. კოკუ ცდილობდა მისთვის ხელი შეეშალა, მაგრამ ამოდ დაშვრა - პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელმა დინჯად გაგზავნა ბურთი პოლანდიელთა კარში. სხვათა შორის, რონალდოს რამდენიმე წუთში კვლავ მიეცა გოლის გატანის ანალოგიური შესაძლებლობა, მაგრამ ბურთი სულ მცირედით ასცდა ვან დერ სარის კარს.

დამატებითი 30 წუთი უფრო მატჩის პირველ ტაიმს წააგვდა, თუმცა ფეხბურთელებმა აქ მეტი ჟინი და გულფიცხობა გამოიჩინეს, რაც სასურველ შედეგამდე ვერც ერთმა გუნდმა ვერ მიიყვანა და საქმე 11-მეტრიანების სერიამდე მივიდა.

პენალტები: 1-0 რონალდო, 1-1 ფ. დე ბური, 2-1 რივალდო, 2-2 ბერგამპი, 3-2 ემერსონი, 3-2 კოკუ (მეკარემ მოიგურია), 4-2 დუნგა, 4-2 რ. დე ბური (მეკარემ მოიგურია).

UEFA ვეპოვის საკლუბო მატჩები

უფამ ჩაატარა ევროპის 1998-99 წლების საკლუბო ტურნირების კენჭისყრა. ჩემპიონთა თასზე თბილისის „დინამოს“ მეტოქეა ალბანეთის „ვლავინა“. თუ ეს ზღუდე გადავლახეთ, წარსულის გახსენება მოგვიწევს, ვინაიდან ბასკებს „ვლავინაზე“ - ბილბაოს „ატლეტიკი“ ესპანეთის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორია, რომელმაც წელს თვით მადრიდის „რეალს“ გაასწრო. თასების თასზე და უფას თასზე ბათუმის „დინამოს“ და ფოთის „კოლხეთი-1913“-ს იუგოსლავიური ბარეიის დაძლევა მოუწევთ - მათი მეტოქეებია ცნობილი ბელგრადაული კლუბები **(იხ. მ-5 გვ.)**.

კალათბურთი ევროპის საკლუბო ტურნირები

ჩატარდა კალათბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების კენჭისყრა. კორინთის თასზე მეორედ მოსაპარეზე რუსეთის „ზოტს“ პირველ მეტოქედ ერგო დონეცის „შახტიორი“. ეს გუნდები ჯერ 16 სექტემბერს თბილისში ითამაშებენ, საპასუხო მატჩი კი დონეცკში 23 სექტემბერს გაიმართება.

ინფორმაცია განსჯისათვის

თქვენს წინაშეა პოსტაბაზოთა სისტემის რღვევის შემდეგ აღმოცენებული და ომგადატანილი ორი ქვეყნის საფეხბურთო მეურნეობის მონაცემები (აღებულია უფას მიერ 1998 წელს გამოცემული ბროშურიდან). გულდასმით შეადარეთ ისინი და უპასუხეთ კითხვას - რის ხარჯზე გაასწრო ერთი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ მეორეს.

მონაცემები	სორვატია	საქართველო
ტერიტორია	56.538 კმ ²	70.000 კმ ²
მოსახლეობა	4.784.265	5.700.000
უფა-ფიფაში განვრცობა	1992 წ.	1992 წ.
ალმასკომის ნევრები	11	19
პროფესიონალი ფეხბურთელი	406	1328
ახალგაზრდა ფეხბურთელი	31.524	42.000
18 წლამდე ქაბუკი ფეხბურთელი	36.702	78.330
ფეხბურთელი ქალი	98	342
ფეხბურთელი გოგონა	28	212
სულ	68.758	122.212
კლუბების რაოდენობა	1264	1407

უფას საკლუბო რეიტინგი (1997-98 წლების სეზონის მიხედვით) **სორვატია:** XIII ადგილი; კოფიციენტი - 26166; ეროვნული ნაკრების წარმატება: ჯერჯერობით მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალისტი; 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალისტი. **საქართველო:** XXIV ადგილი; კოფიციენტი - 20333.

XVI მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში



პეოსეაფინალააი

მატჩი №60. ლიონი. „სტად შერლა-ნი“. 39 100 მაყურებელი.

გერმანია - სორვატია 0-3 (0-1).

გერმანია: კუპკე, ვიორნისი, მათეუსი, კოლერი, პაინრიხი, პამანი (მარშალი, 79), იერემისი, პესლერი (კირსტენი, 69), ტარნატი, კლინსმანი, ბიკილი.

სორვატია: ლადინი, სოლდო, სიმინი, სტიმანი, ბილინი, სტანინი, ასანოვიჩი, იარნი, ბობანი, ვლაოვიჩი (მარინი, 84), შუკერი.

გოლები: იარნი (45), ვლაოვიჩი (80), შუკერი (85).

გააფრთხილეს: ტარნატი, პაინრიხი, სიმინი, შუკერი.

გააძევეს: ვიორნისი (40).

მსაჯი: რენე პედერსენი (ნორვეგია).

კრები ასე შორს არასდროს წასულა. გერმანელებმა კვლავ გვიჩვენეს მტკიცე ხასიათი, თავდადება და საბრძოლო სულიკვეთება. ფეხბურთელის გაძევებამ ისინი რთულ მდგომარეობაში ჩააგდო, მაგრამ მხოლოდ ამის გამო არ მოგვივია. ამ მატჩს მაინც მოვიგებდით. ახლა კარგი განწყობით ველით საფრანგეთთან შეხვედრას. იმედი მაქვს, რომ ფინალში გავედით“.

ღამურ შუპერი (სორვატიის ნაკრების ფორვარდი): „ცხოვრებაში ასეთი ბედნიერი წუთები არ მქონია. სორვატია ფინალამდე აუცილებლად მივა, მეტე კი... ვნახოთ“.

ბერტი შობისი (გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „პედერსენმა დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც ფეხბურთელი გაგვიგდო. ჯარიმა კი იყო, მაგრამ ვიორნისის დანაშაული ბოლო იმედისა არ იყო, ვინაიდან მის უკან კოლერი იდგა. გაძევებამ ყველაფერი აგვირია. გარდა ამისა, ჩემმა ბიჭებმა რამდენიმე ნაღდი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს. ვწუხვარ, რომ ასე გავაწვილეთ გულშემატკივარი“.

იურბან კოლერი (გერმანიის ნაკრების მცველი): „ვიორნისის გაძევება უსამართლო იყო, ვინაიდან მის უკან ვიდეი და ეს ჯარიმა ნამდვილად არ იყო უკანასკნელი იმედისა. მსაჯმა ამით მთელი მატჩი გააფუჭა. როდემდე უნდა იპარპაშონ უცოდინარმა არბიტრებმა?“



გერმანია - სორვატია



პასარელა



კოლანდია - არგენტინა



ორტეგა №10 - დავიდის ორთაბრძოლა



მატჩი №59. მარსელი. „სტად ველოდრომი“. 55 000 მაყურებელი.

კოლანდია - არგენტინა 2-1 (1-1)

კოლანდია: ვან დერ სარი, რაიციგერი, სტამი, ფ. დე ბური, რ. დე ბური (ოფერმარსი, 65), იონკი, ნუმანი, დავიდისი, კოკუ, კლუივერტი, ბერგამპი.

არგენტინა: როა, ძანეტე, სენსინი, შამოტი (ბალბო, 90), აიალა, ალმეიდა (პინედა, 68), სიმეონე, ლოპესი, ვერონი, ორტეგა, ბატისტუტა.

გოლები: 1-0 კლუივერტი (12), 1-1 ლოპესი (18), 2-1 ბერგამპი (90).

გააფრთხილეს: სენსინი, შამოტი, სტამი, ნუმანი.

გააძევეს: ნუმანი, ორტეგა.

მსაჯი: არტურო ბრისო კარტერი (მექსიკა).

მატჩის შემდეგ
დანიელ ვარ, თითქმის წაგებული მატჩის ჩარხი შემოვარტიალეთ. არავის გამოეყოფ, ყველა ბოლომდე გაიხარჯა. ახლა მთავარია, როგორმე დაგაცხენო ფეხბურთელები ბრაზილიასთან მატჩის წინ“.

დანიის ბერბამპი (კოლანდიის ნაკრების ფორვარდი): „მოსარული ვარ, რომ მატჩის ბოლო წუთზე ჩემი კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი გავიტანე. ეს დიდებული მომენტი იყო: ფრანკ დე ბურმა საუცხოო პასი მომაწოდა, მეც მთელი ოსტატობა ჩავაქმნე, სოვე გოლის გასატანად. მინდვრიდან ორტეგას გაძევებამ ჩემს თანაგუნდელებს ძალია შემატა. საერთოდ, გამარჯვება ჩვენ გვეკუთვნოდა, ვინაიდან მეორე ტაიმი ჩვენი უპირატესობით წარიმართა. ახლა მოუთმენლად ველით ბრაზილიელებთან შეხვედრას. დრო ცოტა გვრჩება და ხეირიან დასვენებასაც ვერ მოვასწრებთ, მაგრამ მაინც ჩვენსავე ვეცდებით“.

ფინიში უიგბლდონში

ნოვოგნა და სპარსი

როცა ნახევარფინალში მსოფლიოს №1 და №2 ჩოგბურთელები, მარტინა ჰინგისი და იანა ნოვოტნა შეხვდნენ ერთმანეთს, მიმოხილველებმა ეს მატჩი ვადადელ ფინალად ჩათვალეს. ამასთან, წინასწარ ითვლებოდა, რომ მიინცდამაინც ჰინგისს უნდა მოეგო. რატომ? როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, ჩეხ ჩოგბურთელს ერთი დიდი ნაკლი აქვს, რომელსაც ვერაფერს უხერხებს — ნერვები. სწორედ ფსიქოლოგიური გაუწონასწორობლობა იყო, რომ ნოვოტნას საშუალებას არ აძლევდა მოეგო თუნდაც ერთი ტურნირი, რომელიც „დიდი სლემის“ კატეგორიას მიეკუთვნებოდა. ასეთი აზრი გამოთქვეს ცნობილმა მიმოხილველმა ბად კლიინსმა და არც ისე დიდი ხნის წინ №1 ჩოგბურთელმა ქალმა კრის ევერტმა.



პიტ სპარსი

არც ისე მაღალ შეფასებას აძლევდა პიტ სპარსის შესაძლებლობებს. ისინი ამერიკელის წლებადელ წარუმატებლობებს გულისხმობდნენ. უიგბლდონის 1996 წლის გამარჯვებულმა რიჩარდ კრაიემა ისიც კი განაცხადა, რომ მხოლოდ წლებადელ შეჯიბრებებს თუ ვიგულისხმებთ და ამის მიხედვით შევადგენთ რეიტინგს, სპარსის დაახლოებით მეათე ადგილი ეკუთვნის. თვით სპარსის პრეს-კონფერენციაზე ნახევარფინალში შეხვედრის შემდეგაც არ იყო მითითებული, რომელიც განთქმული იყო მეთორმეტე ნომრად და არც რეიტინგით მეოცე ნომრადია ზევერევა მისთვის ღირსეულ მეტოქედ არ მიაჩნდათ. თუმცა ჯერ საჭირო იყო ტოპ-10-ისა და ზევერევის შორის გამარჯვებულის გამოვლენა; ეს მატჩი ტოპ-10-ში მოიგო. ფინალში კი მარტინა და იანა ნოვოტნა წინასწარ ელოდნენ. იანა ნოვოტნამ მოიგო და ჩემპიონი გახდა.

დაამარცხა გორან ივანიშვილი. სორვატ ჩოგბურთელს ამ ბოლო წლებში იმდენი მარცხი ჰქონდა, რომ მის წარმატებას ამკერად არავინ ელოდა. მოხდა კი პირიქით, ივანიშვილი თანდათან იუმპობებდა სპორტულ „ფორმას“ და ახლა კრაიეციც დაამარცხა. სპარსი — ივანიშვილი! როგორც სტატისტიკოსებმა გაიხსენეს, ეს იყო მათი მეჩვიდმეტე შეხვედრა. აქამდე სპარსმა მოიგო 10 მატჩი, ივანიშვილი — 1. ახლა ფინალური მატჩი სპარსის უპირატესობით მიმდინარეობდა და მისი გამარჯვებით დამთავრდა. მისი ოპტიმიზმი სრულიად დასაბუთებული გამოდგა. მეორე მხრივ, თითქმის „ჩამოწერილი“ ივანიშვილი კვლავ მისიანე მეტოქეა და უდავოდ დაუბრუნდა თანამედროვეობის წამყვან ჩოგბურთელს. ჯაბუკთა ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ როგორც ფედერერი (შვეიცარია) და ჩვენი ირაკლი ლაბაძე. გამარჯვა ფედერერმა.

გოლფია, რას არის

გოლფის მოთამაშეებს რომ დიდი შემოსავალი აქვთ, ეს კარგად არის ცნობილი. წლეულს ევროპაში ჩატარებული 16 ტურნირის შემდეგ ყველაზე მეტი გასამრჯელო მიიღო ინგლისელმა ლი ვესტუდმა — 625 315 დოლარი. მას მისდევს ერნი ელსი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) — 601 395. და თომას ბორნი (დანია) — 533 776 დოლარი. პროფესიონალ გოლფის მოთამაშეებს შორის „ვესტუდს“ დატაკად „ალიანსის“ კრეე ჰეინლაინი (აშშ). მან „მხოლოდ“ 25 801 დოლარი მიიღო.

სპარსი და სპარსი

კალათბურთი. ქალთა NBA-ში გაიმართა მორიგი შეხვედრები: „ნიუ-იორკმა“ სძლია „ვაშინგტონს“ 62:61, „საქრამენტომ“ კი დაამარცხა „იუტა“ 70:56.


კრიკეტი. ინგლისში მანჩესტერის „ოულ ტრადორის“ კრიკეტის მოედანზე გაიმართა ინგლისისა და სამხრეთ აფრიკის მეთხუთმე დღის მესამე სატესტო შეხვედრა. საერთო ჩათვლაში ჯერჯერობით აფრიკელები ლიდრობენ — 1:0.

ბოქსი. ირლანდიის ლია პირველობა მოიგო ინგლისელმა კარტერმა, მეორეა შოტლანდიელი მონტგომერი. აშშ-ს შტატ კონფედერაციაში მიმდინარე ტურნირში ამერიკელები ლიდრობენ: პირველია ბრაუნი, მეორე — სინკი, მესამე — მაიზი.

კაბაბურთი. Major League Baseball-ში გაიმართა მორიგი ტური: ბალტი-მორი — ნიუ-იორკ იანკიზი — 0:1, კლივლენდი — კანზას სიტი 12:3, ნიუ-იორკ მეტსი — ატლანტა 2:3, სენტ ლუისი — ცინცინათი 1:6.

72 წლის მარკ ტაიმანოვი...

... სოლიდური ასაკის მიუხედავად, თითქმის განუწყვეტილ მონაწილეობს მრავალ საჭადრაკო შეჯიბრებებში, და, საკმაო წარმატებით. ამ დღეებში მან ითამაშა სანკტ-პეტერბურგში გამართულ საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც 10 დიდოსტატი და ოსტატი გამოდიოდა. 9 შესაძლებელიდან ექვს-ექვსი ქულა მოაგროვეს მარკ ტაიმანოვმა, ყოფილმა პეტერბურგელმა, ახლა კი ისრაელის ცხოვრებმა დიდოსტატმა ლეონიდ იუდასინმა, საერთაშორისო ოსტატმა ვალერი პოპოვმა და ოსტატმა ევგენი შაპოშნიკოვმა. დამატებითი მონაცემებით, პირველი პრიზი მარკ ტაიმანოვს მიეკუთვნა.



ქროსპორლის მუხიერ
თქვენს წინაშეა ფეხბურთში XVI მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე მოთამაშეების ფოტოსურათები. გამოიცანით მათი ვინაობა. რომელი ნაკრების ღირსებას იცავენ ისინი?

წინა ნომერი
გამოკვეთილი საფეხბურთო პროსპორლის პასუხები

- თარაზულად: 9. მიულერი, 27. სილაგაძე, 30. კირსტენი, 46. დეგრიზი. შვედულად: 6. პლანჩიკა, 20. სინიორი, 25. საუნესი, 32. ჰიუნგერი. ლიბონულად: 1-11. დიმაში, 1-15. დომედი, 2-12. ფინილი, 2-15. ფროინდი, 3. მისტოვი, 4. კონსლია, 5-13. მატეო, 7-17. ნესტა, 8-18. ამორო, 10-19. ილინი, 14-26. რივა, 16-26. კოპა, 21-29. ციგე, 22. ბინჰოვი, 23. ბირჰოვი, 28-11. გერსონი, 28-44. გალიევი, 30-24. კიკო, 30-35. კოკუ, 31-12, სენსინი, 31-45. სტალინი, 33. ჯინინგსი, 34-29. ბენე, 36. ფლაურსი, 37. უაიზი, 38. კოუტუ, 39. დუნგა, 32-40. ჰაჯი, 32-42. ჰოგი, 41-47. ბირდსლი, 41-48. ბატისტა, 43. ფრეზი, 44-47. ორიალი, 45-48. იგუიტა.

„გოგო-ლოგო“ — მოთამაშეთა სისკული

კვირას, 5 ივლისს ჩატარდა ლატარია „ლოგო 6-42“-ის და თანხმობის თამაშის „სუპერ-7“-ის მე-10 ტირაჟის გათამაშება.

«ლოგო 6-42»-ის მოგებასვედრილი რიცხვებია: 4.9.26.33.34.38

3 რიცხვი — 1.90 ლარი.
4 რიცხვი — 20 ლარი.
5 რიცხვი ვერავინ გამოიწვო. 606 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟში.
6 რიცხვი ვერავინ გამოიწვო. „ჯეკ-პოტი“ 44.060 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟში.

„სუპერ 7“-ის მოგებიანი ციფრებია: 2 1 2 8 1 2 7

შემდეგი ტირაჟი შედგება 12 ივლისს. „ჯეკ-პოტი“ 44.060 ლარი ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! გისურვებთ წარმატებას!

საპარტხმლოს სპორტის პროფესიული ფონდი

8 ივლისი, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩი (12.20). **I არხი, II არხი, იბერია, TV-7, საქართველოს ხმა.** ნახევარფინალური მატჩი (22.50). **იბერია.** „ბურთი და მოედანი“ (11.50; 21.10). **კავკასია.** ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დღიური (15.20). „გარსკვლავები“ (17.50). **OPT-1.** ნახევარფინალური მატჩი (22.50). „პარიზული ტაიმები“ (1.10). **HTB.** „საფეხბურთო კლუბი“ მსოფლიო ჩემპიონატზე (1.30). **HTB plus sport.** ფეხბურთი (7.45; 12.35; 21.15). სპორტული ცეკვები (10.00). საცხენოსნო სპორტი (13.45). გოლფი (18.25). ავტოსპორტი (22.15). **EUROSPORT.** ფეხბურთი (10.00; 10.30; 11.00; 18.00; 1.00; 3.00).

10 ივლისი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. „სპარსი“ (22.25). **II არხი.** „გოლი“ (20.40). **იბერია.** „ბურთი და მოედანი“ (11.50; 21.10). **კავკასია.** ჩემპიონატის დღიური (15.25). „გარსკვლავები“ (17.50). **საქართველოს ხმა.** სპორტული პროგრამა (14.30). **HTB plus sport.** საჭადრაკო გაკვეთილები (7.05; 15.10). ფეხბურთი (7.45; 12.35; 20.00). საცხენოსნო სპორტი (14.00). კრივი (18.15; 23.10). მეკლდეურობა (13.00; 0.10). **EUROSPORT.** ველოსპორტი (10.30; 20.00; 3.00). ავტოსპორტი (11.00). ფეხბურთი (12.00; 19.00); ჩოგბურთი (13.00). მძლეოსნობა (21.30).

9 ივლისი, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩი (12.15). **იბერია.** „ბურთი და მოედანი“ (12.00; 21.10); **კავკასია.** მსოფლიო ჩემპიონატის დღიური (15.15). „გარსკვლავები“ (17.50). **საქართველოს ხმა.** სპორტული პროგრამა (15.00). **HTB plus sport.** მაგდის ჩოგბურთის გაკვეთილები (7.05). ფეხბურთი (7.45; 8.15; 11.30; 20.00). ავტოსპორტი (10.10; 19.15). საცხენოსნო სპორტი (13.45).

რა ხდება ქვეყანაში

დოინგს ადვილად გაუმკლავდებიან

მომავალი საზაფხულო ოლიმპიური თამაშების მასპინძლებმა გადაადგენ დიდი ნაბიჯი აკრძალული პრეპარატების წინააღმდეგ საბრძოლველად. ავსტრალიის სპორტის ინსტიტუტის ამ მნიშვნელოვანი აღმოჩენის შედეგად შემუშავდება სისხლიანი დოინგის აღმოჩენის ტესტი, კერძოდ, იგი ადვილად გაუმკლავდება „პრეპარატების ტროპოტინს, ანუ ებოს, რომელიც ძალიან გავრცელებულია ველოსპორტში, ტრაიტლონში, მარათონულ რბენასა და თხილამურებით რბოლაში. ახალი სისტემით შედეგები ანალიზებს შეუმოწმებენ 24 კლუბის სპორტმენებს, რომ დოინგ-კონტროლის უჩვეულო პროცესში „ხელიც გაიწაფონ“. ექსპერიმენტების დრო დადგა! წინ სიღნევის ოლიმპიადისა. ავსტრალიის სპორტის მინისტრმა მაღალი შესაფერხება მისცა აღმოჩენას.

საქართველოს მოქვიანეთა საზოგადოება „რაინდი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სპორტის ოსტატი ტატარნი გომოლი და სამომავლოდ უცნაურებს განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა 9 ივლისს, სენაკის რაიონის სოფ. რეკაში.

საქარკაო ანონა
ო. გაშალაზვილი (თბილისი)

8									
7									
6									
5									
4									
3									
2									
1									

a b c d e f g h

შამათი 2 სვლაში
წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. კ44! მხოლოდ ასე შეიძლება შავი მეფის შეზღუდვა.
1... მფ: d4 2. მფ: c4 3. ვე4X.